# ჩანგი

№ 41

შაბათი, 22 აგვისტო 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილების პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:**

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| **ქალაქ გარეთ** | **თფილისში** |
| --- | --- |
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

---

შაბათს, 22 აგვისტოს, დანიშნულია ნოვოროსიის უნივერსიტ. სტუდენტის

## ვიქტორ გოლქველის

ორმოცის გადახდა, რაიცა მოხდება სოფ. მიქელ-გაბრიელის წმ. გიორგის ეკლესიაში 12 საათზე. აცხადებს მეუღლე მისი ლიზა იოსების ასული, დედა ბარბარე და მამა სინო ჩითანის ძე, და მარიამ და სიძე ილია ხარაბაძე.

---

## ოზურგეთში

კვირას, 23 მარიამობისთვეს

ოზურგეთის

## რეალურ სასწავლებლის

სასარგებლოთ

გაიმართება დიდი სახალხო

# სეირნობა

**შემდეგი პროგრამით:**

დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, ითამაშებენ ლეკურს, ჰაერში გაუშვებენ მაშხალებს, **ჭიდაობა**, ლატარეია-ალეგრი, ღია ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშებით სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრებს საჩუქრათ მიიღებს მაპალს. ლატარეიაში ჩაგდებულია **ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგირით, სამოვარი, საათი, გიტარა** და სხ. მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტრამარკები, რომლებიც ვსთხოვთ მისცენ ულამაზეს მოსეირნეთ შორის. ვინც რიცხვით მეტ კონტრამარკას მიიღებს საჩუქრათ მიეცემა ოქროს ქეტონი. ულამაზეს ქალს ირჩევენ კაცები,—კაცს ქალები. შემოწირულება მიიღება ექიმ დიმ. ერისთავის სახელზე ფულით და ნივთით. (4—1)

**ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ.** **დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.**

---

## კერძო სასწავლებელი
## ლ. ფ. პეტრაშევსკისა

ვაჟები და ქალები ერთათ სწავლობენ

(**ყოფილი მე-5 გიმნაზიის „ნაჩალნიცა“**) მიხეილოვის პროსპექტი № 166.

17 აგვისტოდან დაიწყება მოწაფეების მიღება მოსამზადებელ, 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში. **მათემატიკას ასწავლიან სავაჟო გიმნაზიის პროგრამით.** განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული **ბუნების მეტყველებას და ენებს.** ყოველ დღე ბაღში სეირნობა. სავალდებულოა ცხელი საუზმე. შეიძლება ბავშვების პანსიონერათაც მიღება. სკოლას აქვს საბავშვო ბ ღი. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება სკოლის გამგესთან ყოველ დღე, 10—2 საათამდე. (3—1)

---

ქ. ქუთაისში

## თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

## „ბუთანი“,

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—10)

---

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

---

## აბასთუმანში

კბილის ექიმი

**სამსონ ვაშაყმაძე**

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

---

გაიხსნა ახალი

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ი. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. გ. ლამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ნ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. გ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—42

---

**ივ. გომელაურის** შედგენილი წიგნი

სკოლებში შესასწავლი

## ქართველი მწერლები

წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. იყიდება თფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

წიგნი **უდით** ღირს 70 კ., მაღაზიებს დაეთმობა 20 პროცენტათ. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა“ ფ. 4 კ. (5—2)

---

## ბათომში

საჩქაროთ საჭიროა **აგენტი**

ჟურნალ-გაზეთების გასასყიდათ. შემოსავალი თვეში იქნება არა ნაკლები 30 მანეთისა. ზალოგათ საჭიროა 70 მანეთი. უპირატესობა მიეცემა ბათომში მცხოვრებს და გაზეთების გაყიდვაში დახელოვნებულ პირს. დაწვრილებით პირობის გაგება შეიძლება თფილისში ამხ. „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძესთან.


**თფილისი, 22 აგვისტო**

„ჩანგის“ მე-32 ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენი საერობო პროგრამა. თუ მკითხველებს ახსოვთ, ჩვენ ნათლათ გამოვარკვიეთ, რა გარდუვალი უფსკრული ყოფს ჩვენს საერობო პროგრამას ყველა სხვა ჯგუფების პროგრამებისაგან. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არსებობს თვითმართველობის ორი ტიპი: პირველი ერობის კომპეტენციაში ათავსებს მხოლოდ სამეურნეო და კულტურულ საკითხებს; მეორე კი, ერობის კომპეტენციას ავრცელებს აგრეთვე პოლიტიკურ ცხოვრებაზედაც—კანონმდებლობაზე, ადმინისტრაციაზე, სასამართლოზე. ჩვენ უკანასკნელ ტიპის ერობის მომხრე ვართ, ყველა სხვა ჯგუფები—პირველ ტიპის ერობის. ამ მოსაზრებით ჩვენ ვამბობდით: ჩვენ ერობის უკიდურეს დემოკრატიზაციას ვიცავთ, სხვა ჯგუფები კი მხოლოდ ლიბერალურ ერობას ვერ გასცილებიანო. ამ დასკვნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გული ატკინა იმ ჯგუფების იდეოლოგებს, რომლებსაც იგი შეეხებოდა. ჩვენი პროგრამის გამოქვეყნებაში ზოგმა „დემაგოგობა“ დაინახა, ზოგმა—ერობის ბოიკოტი, ზოგმა ისიც კი დაგვწამა, რომ ჩვენ ამით გვსურს „ხელი შევუშალოთ გაღვიძებულ იმედების განხორციელებას“ (ბ. ირ. გულისოვი). რადგანაც თითქმის ყველა მოწინააღმდეგეებმა ჩვენი სიტყვებიდან თავის გონებით სწორე დასკვნა ვერ გამოიყვანეს, ჩვენ იძულებულნი ვართ ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ პრინციპიალურ საკითხს და გავარკვიოთ ის შედეგები, რომელიც ლოღიკურათ გამომდინარეობს ჩვენი საერობო პროგრამიდან, ის ტაქტიკური ნაბიჯები საერობო საკითხებში, რომლებსაც გვიკარნახებს ჩვენი საერობო პროგრამა.

საერობო საკითხში ჩვენ ვადგევარ მოქმედების იმავ ხაზს, რომელსაც ვადექით 1905 წლებში სახელმწიფო დუმის საარჩევნო კამპანიაში—„მეუმცირესეთა“ მოქმედების ხაზს. როდესაც მთავრობის საარჩევნო პროექტი გამოქვეყნდა (ბულიგინის პროექტი), ჩვენ მას დავუპირდაპირეთ ჩვენი საარჩევნო პროექტი. ხალხის თანაგრძნობა ჩვენი პროექტისაკენ იყო და ხალხის მოძრაობამ აიძულა მთავრობა ზოგიერთი თვალსაჩინო ცვლილება შეეტანა თავის პროექტში. ჩვენ ამ ახალმა დათმობამ, რა თქმა უნდა, ვერ დაგვაკმაყოფილა და ჩვენ მაინც ჩვენ პროგრამაზე ვუთითებდით ხალხს. ხალხის მოძრაობის ახალმა ტალღამ კიდევ ახალი ნაბიჯი გადაადგმევინა მთავრობას დემოკრატიზმისაკენ (11 დეკემბრის განკარგულება).

მიუხედავათ ამ მუდმივ ოპოზიციისა, ჩვენ ბოიკოტის მომხრე არ ვყოფილვართ არც ბულიგინის სისტემის დროს, არც პირველ, არც მეორე, არც მესამე დუმის არჩევნების დროს. პირიქით, არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი არ იღებ ულობდა არჩევნებში ისეთ ცხარე მონაწილეობას, როგორც ჩვენ; არავინ ისე მხნეთ არ იწვევდა ყველას საარჩევნო ყუთებისაკენ, როგორც ჩვენ. მაშინაც კი, როდესაც მთავრობამ დათმობის გზა მიატოვა და უწინდელი დათმობა ისევ უკან წაიღო, მაშინაც კი მოვახერხეთ კანდიდატების გაყვანა.

ჩვენ მაშინაც კარგათ ვხედავდით, რომ ჩვენი პროგრამა-მინიმუმის ერთი დაკვრით განხორციელება არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი ვალი იყო ხალხისთვის მიგვეთითებია იმ წყობილებაზე, რომელსაც, ჩვენის აზრით, მოითხოვს საწარმოო ძალთა აწინდელი მდგომარეობა და რომლისკენაც გარდუვალის აუცილებლობით მიექანება მთელი კულტურული კაცობრიობა; რაც უფრო ძალიან შევაყვარებთ ხალხს დემოკრატიულ წყობილებას, რაც უფრო შევაგნებიებთ მას დემოკრატიული წყობილების საჭიროებას, მით უფრო დიდის ნაბიჯით წავა წინ პროგრესის საქმე,—აი, რა მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ იმ დროს. რაც უფრო ძლიერი არის ხალხში დემოკრატიზმისკენ ლტოლვილება, მით უფრო მეტი შანსი გვაქვს ჩვენ ჩვენი პროგრამის განხორციელების,—აი, რა იმედი აძლევს მიმართულებას ჩვენს პოლიტიკას.

ამავე მოსაზრებაზე და ამავე იმედზეა დამყარებული ჩვენი პოზიცია საერობო საკითხში. ნამესტნიკმა გამოაქვეყნა საერობო პროექტი; იგი, მართალია, უფრო შორს მიდის, ვიდრე რუსეთის გუბერნიებში არსებული საერობო დებულება, მაგრამ ჩვენ მას მაინც ვუპირდაპირებთ ჩვენ საერობო პროგრამას, რადგან, დარწმუნებული ვართ, რომ ხალხს უფრო მოეწონება ჩვენი საერობო პროგრამა და უფრო მეტის სიძლიერით დაიწყებს მისკენ ლტოლვილებას; ხალხის ძლიერმა ლტოლვილებამ კი, არ შეიძლება, გავლენა არ იქონიოს საზოგადოებრივ აზრზე და, შემდეგ, მთავრობაზე, და ეს გავლენა, ადრე თუ გვიან, მეტის დემოკრატიზმისკენ დააქანებს საზოგადოებას.

მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ არც ბოიკოტის მომხრე ვართ, არც ვისმეს შევუშლით ხელს. პირიქით, როგორც სახელმწიფო დუმის საარჩევნო კამპანიაში, ისე ერობის საქმეშიც ჩვენ ცხარე მონაწილეობას მივიღებთ და ვურჩევთ დემოკრატიულ ჯგუფებს, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს; ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ, რაც უნდა მახინჯი და უგვანო იყოს მთავრობის მიერ მოწადინებული რეფორმა, თუ ამ რეფორმის განხორციელება დემოკრატიულ ელემენტებს ჩაუვარდებათ ხელში, სახალხო საქმე წინ წავა და მიიღებს ჩვენთვის სასურველ მიმართულებას.

**რაც უფრო მეტს მოითხოვს ხალხი, მით უკეთესი**—აი ჩვენი რწმენა, რწმენა, რომელსაც ვერავითარი რეაქციის ქარიშხალი ვერ ამოფხეკს ჩვენი გულიდან.

ამაშია განსხვავება იმ თვალსაზრისთა შორის, რომელსაც ვადგევართ ჩვენ და რომელსაც ადგიან სხვა ჯგუფები. ჩვენ გვინდა თითონ ხალხმა, რაც შეიძლება, უფრო დემოკრატიული მოთხოვნა წარუდგინოს მთავრობას; დანარჩენ ჯგუფებს კი სურთ **მთავრობა დაარწმუნონ**—ხალხს ბევრი კი არ უნდა, ხალხი მარტო ცენზის შემცირებას, საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციას თხოულობსო, ხალხს 1864 წლის დებულების აღდგენა სურსო („დროება“), ხალხს უნდა ხმოსნების რიცხვი გადასახადის კვალობაზე იყოს დაწესებულიო (ბ. გულისოვი) და სხვა.

**ხალხის თვით-მოქმედება საერობო საკითხის გადაწყვეტაში**—აი, ჩვენი მოქმედების დაფარული აზრი.

**მთავრობის თვალში შეყურება**—აი „დროება“—„ზაკავკაზიეს“ მოქმედების წესი.

---

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აგვისტო.

**სპარსეთი.**

**თავრიზი.** თეირან-თავრიზის გზაზე მიმოსვლა შეჩერებულია, რადგან იქ ყაჩაღები დთარეშობენ.—თავრიზში დაბრუნდა 30 ნაციონალისტი, რომლებიც ერთი წლის წინათ რახიმ-ხანმა ტყვეთ წაიყვანა. ისინი გაანთავისუფლა რახიმ-ხანმა რუსეთის საგენერალო საელჩოს სეკრეტარის და სნარსკის რაზმის მიერ ქალაქ კარადაგას განთავისუფლების გამო. ტყვეების განთავისუფლებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ადერბეიჯანში. მათ ცნობა მოიტანეს, რომ რახიმ-ხანმა დაუბრუნა 180 აქლემი, რომლებიც ერევნელ მეაქლემეებს წაართვა თავრიზზე ალყის შემორტყმის დროს და გადასცა ბელიუვს 200,000 ოსმალური ლირი იმ ზარალის ასანაზღაურებლათ, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომებმა ნახეს.

**თეირანი.** დღეს თეირანის მცხოვრებთ ამნისტია გამოუცხადეს.

**ოსმალეთი.**

**სალონიკი.** 19 აგვისტოს, ნაშუადღევის ორ საათზე მიტროვიციდან უსკიუბში მიმავალი სამხედრო მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. დაიჭრა მატარებლის უფროსი და ორი მოსამსახურე, მოკვდა ერთი. დაიმტვრა 26 ვაგონი. სალონიკიდან დამხმარე მატარებელი გაგზავნეს მუშებით და ორი ექიმით. უბედურება მოხდა იმიტომ, რომ რელსები აელოთ გზიდან.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მოლაპარაკება გამართოს სახელმწიფოებთან შემოსატან საქონლის ბაჟი აუწიონ, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს.

**რუსეთი**

**ჩერნიგოვი.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ ერობამ ისევ კრასოვსკი აირჩია.

**სიმფეროპოლი.** თავად-აზნაურთაგან სახელმწიფო საბჭოს წევრათ არჩეულ იქნა თავადი ურუსოვი და სახალხო განათლების მინისტრის ყოფილი ამხანაგი გერასიმოვი.

**ჩერნიგოვი.** ნოვოზიბკოვსკის მაზრის სოფელ კარპოვიჩის ახლო პოლიცი-

ლებმა მოკლეს ვიღაც გავრილენკო, რომელიც მოკლულ სავიცკის ყაჩაღთა ბრბოს მონაწილე იყო. სროლის დროს დაიჭრა სტრაჟნიკი.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია სამხედრო სატუსაღოს უფროს პოდპოლკოვნიკ ანანიევის და მისი ამხანაგის კაპიტან კოვალენსკის საქმე. მათ აბრალებდენ უმოქმედობას, რის შედეგიც იყო სამი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტუსაღის გაქცევა. სასამართლომ მიუსაჯა ანანიევს ერთი თვით და ერთი კვირით ჰაუპტვახტში დატუსაღება და კოვალენსკის ერთი თვი ი.

**ვილნო.** დაბა მოლოდეჩნეში, ვილნოს მაზრაში, დაიწვა 140 სახლი და 300 სხვა და სხვა შენობა, დაიწვა ბოქაულის ბინა, მეშჩანთა სამმართველო და დარაჯთა ყაზარმა, დაზიანდა საფოსტო კანტორა. ზარალი 250,000 მანეთამდეა. ცეცხლში დაიღუპა ორი კაცი. გუბერნატორი აწყობს დახმარების საქმეს.

**პოლტავა.** კრემენჩუგის მაზრის სოფელ დემიდოვკაში ცენზალისტოვის მამულში დაიწვა მამულის მოურავის სახლი, ცეცხლში დაიღუპა მოურავის დედა, სასძლო, მუშა და მოსამსახურე.

**ვორონეჟი.** სოფელ პოვორინოში დაიწვა 300 სახლი.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოთ დასტოვა სამარყანდის სასურსათო მაღაზიის გამგე, ნადვორნი სოვეტნიკი ლიტინსკის საქმე, რომელსაც საოლქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი ქონდა სამსახურში სიყალბის ჩადენისთვის, სამსახურიდან დათხოვნა და ოთხი თვით დატუსაღება.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა კავკასიის მცხოვრებ აბდულ-ალი-რუსტამას შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება და ხელმეორეთ გასარჩევათ დააბრუნა. აბდულ-ალი-რუსტამას ნავთის მრეწველ რილსკის შვილის მოტაცების გამო გადაწყვეტილი ქონდა 8 წლის კატორღა.—მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა საოლქო-სამხედრო სასამართლოს განაჩენი გლეხ ორლოვის შესახებ, რომელსაც სიკვდილით დასჯა ქონდა გადაწყვეტილი. სასჯელი უვადო კატორღით შეუცვალეს.

**კურსკი.** გრაივორონსკის მაზრის სოფელ ვისოკოში დაიწვა 28 მოსახლე. ზარალი დიდია. ცეცხლში დაიღუპა გლეხის ბიჭი.

**იაროსლავლი.** საოლქო სასამართლომ განიხილა დუნაევის ქარხანაში ორთქლის ქვაბის აფეთქების საქმე რომლის დროსაც დაიღუპა რამდენიმე კაცი. ქარხნის გამგე გაამართლეს, მემანქანეს მიუსაჯეს სამი თვით ციხე და მის თანაშემწეს ოთხის.

**სურამი.** 19 აგვისტოს საღამოს „პოსად“ სვიატსკში ექვსმა ბოროტ-მოქმედმა გაძარცვა ფოსტა და პოლიციის ზედამხედველის ბინა. მოკლეს ორი გოროდოვოი, ერთი კერძო პირი. დასჭრეს პოლიციის ზედამხედველი, ერთი გოროდოვოი და გაიქცენ.

**ვარშავა.** ლიუბლინსკის პოლიცმეისტერის მოკვლაში სამ მონაწილეს სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეუცვალეს.

**სევასტოპოლი.** ზღვის ქვეშ მავალ ნავის „კამბოლას“ დაღუპვის საქმის გამო, სამხედრო საზღვაო სასამართლომ გაამართლა გემ როსტისლავის უფროსი სპარაი და ოთხი თვის ციხე და საეკლესიო მონანიება მიუსაჯა „კამბოლას“ უფროსს აკვილონოვს.

### ხ ო ლ ე რ ა.

**რეველი.** კარენგოლმში ხოლერით ავათ გახდა და მოკვდა 1. გუნგენბურგში ავათ გახდა ერთი.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 19, მოკვდა 9. ავათ არის 296.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ პეკინიდან, რომ იაპონიასა და ჩინეთ შორის შეთანხმება მოხდა და ჩქარა გამოაქვეყნებენ შემდეგ მუხლებს ხელშეკრულობისას:

1) იაპონია უთმობს ორივე მუხლში, ტერიტორიის შესახებ; 2) ჩინეთი არავითარ ზომებს არ მიიღებს სინმინტინიდან ჩრდილოეთისკენ რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ, იაპონიის შეუთანხმებლათ; 3) იაპონია უარს აცხადებს მოლაპარაკება გამართოს რკინის გზის მართვა-გამგეობის და ანდუნ-მუკდენის დასაცველათ უცხოელების პოლიტიკურ უფლების შესახებ.

**სტოკჰოლმი.** რადიკალური გაზეთი „დაგენსნიტერი“, რომელიც წინათ თხოულობდა მთავრობის ჩარევას, დღეს არწმუნებს გაფიცულებს შესწყვიტონ გაფიცვა, რომ შეძლება მისცენ მთავრობას მოაგვაროს საქმე.

**ბერლინი.** „ცეპპელინი მეორე“ ბიულციგიდან ფრიდრიხსგაფენისაკენ გაემგზავრა.

**ტრონგო** (შტატი ონტარიო). პარლამენტის სადგომში ცეცხლი გაჩნდა. სახურავი ჩაინგრა, ზარალი მილიონ დოლარამდეა.

**ბერლინი.** დილის გაზეთების ცნობით კანეიდან მეორეთ მოვიდა მფარველ სახელმწიფოთა რაზმი, რადგან აღმასრულებელი კომიტეტი პირობას სდებს, რომ საფრანგეთის დროშას აღარ აღმართავენ, სიმაგრე ისევ კრიტოსის ჯარმა დაიჭირა.

**ათინა.** ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ დეპუტატთა პალატის მოწვევა ორი კვირით გადაიდვას, რომ შეძლება მისცენ მთავრობას მოემზადოს პარლამენტის წინაშე გამოსასვლელათ. ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებული პროგრამა ფინანსიურ და ეკონომიურ რეფორმების შესახებ მეფემ მოიწონა.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**ექს-შახის გოდება.** გუშინ ჩვენ მოყვანილი გვქონდა მოკლე ცნობა ექს-შახის „რ. სლ.“ კორესპონდენტთან საუბრის შესახებ. ახლა მოგვყავს უფრო ვრცლათ: მე—ამბობს ექს-შახი, ყველაზე უფრო ის მიკლავს გულს, რომ ბედმა ტყვეობა მარგუნა და ჩემი ხალხი მტრათ გადამეკიდა, მე ხალხის მტერს მეძახიან მაშინ, როცა ახალგაზდობიდანვე ჩემი ხალხის სამსახურს ძალ ღონე შევალიე. ჯერ კიდევ, როცა მემკვიდრეთ ვიყავ, თავრიზიდან ვევედრებოდი მამაჩემს, რომ სპარსეთისათვის კონსტიტუცია მიეცა. როცა მამაჩემი კვდება, მის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, მე ვიდექი მასთან და მისი დასუსტებული და აკანკალებული ხელით—ხელს ვაწერდი კონსტიტუციას. მიუდგომელი ისტორია დაუმტკიცებს შთამომავლობას, რომ მე მსხვერპლი გავხდი ინტრიგების და იმ უღირსი პირების გაიძვერაობის, რომლებიც მე გარს მეხვია, მე გადაველ რუსეთის მისიაში იმიტომ, რომ მირჩიეს—ამ გზით შეიძლება ტახტის გადარჩენაც და წესიერების აღდგენაც სისხლის დაუღვრელათ. მე დავუჯერე ამ რჩევა-დარიგებას და ტახტის მაგიერ ისეთ ტყვეთ გავხდი, რომელსაც არაფერი არ აბადია, პირადი ქონებაც კი წამართვეს. მე ყველაზე უფრო ის მიწყალებს გულს, რომ გადაწყვეტილია ჩემი სპარსეთიდან გაძევება. ეს გაძევება ყველაზე უფრო მტანჯავს. მე ვარჩევდი, რომ უბრალო ღატაკ-ღარიბათ დავრჩენილიყავ—მაშინ მაინც შემეძლებოდა თავის სამშობლო ქვეყანაში თავისუფლათ სიარული და ფსალმუნების გალობით ლუკმა პურის შეძენა.

ასე დასტირის წარსულ ბედნიერებას ყოფილი დესპოტი და თავის უმანკოებაზეც კი ღაღადებს, მარა ვინ არ იცის, რომ სწორეთ ასეთ ჰანგებზე დამღეროდა ექს-სულთანი ჰამიდი ოსმალეთში, როცა ის ტახტიდან ჩამოაგდეს, მარა შემდეგ უტყუარი საბუთებით დამტკიცდა, თუ როგორი „მოყვარული“ იყო ის თავის ხალხის.

ექს-შახიც, თავისი ვითომდა „ღლსარებით“, ეტყობა, „წამხდარი საქმის“ სხვა მხრიდან შემოვლას ლამობს...

**საუბარი ყოფილ პრემიერთან.** სპარსეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ საადდოულეს შემდეგი უთქვამს „რუსსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტისათვის: რევოლიუციონერების მოსვლისას მე ფირმანი დავსწერე, დაეკმაყოფილებიათ ყველა პრეტენზიები და კიდევაც განვიზრახე დამფუძნებელი კრების მოწვევა ძირითად კანონების შესამუშავებლათ. ეს შევატყობინე სეპეხდარს და სერდარასადს. ისინი დათანხმდენ და სამხედრო მოქმედება შეაჩერეს. ამ დროს ღამით შახთან მივიდა ინგლისის საელჩოდან ორი კაცი და მასთან ბაასის შემდეგ შახი რუსეთის საელჩოში წავიდა.

ორივე სახელმწიფოს მოქმედება გულწრფელათ არ მიაჩნია ყოფილ პრემიერს. სახელმწიფოებმა არ შეასრულეს თავიანთი პირობა, როცა მე დავალებული მქონდა კონსტიტუციის აღდგენა. ეხლა ისინი გასაოცარ მოლოდინის პოლიტიკას ადგანან, ახალ მთავრობას უფულოთ, უხალხოთ და დაუხმარებლათ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, სახელმწიფოები კი, თითქო დასასრულს ელიან, თითქოს სარგებლობას ხედავენ იმაში, რომ სპარსეთში მუდამ უწესოება იყოს.

### ოსმალეთი

**სალდათების აღშფოთება.** „ბირ. ვედ“. ატყობინებენ, რომ მეჯიდეის ყაზარმაში სალდათებს შორის დიდი აღელვება მოხდა. აღელვება გამოიწვია ჯარის უფროსის განკარგულებამ ფესვების ქუდით შეცვლის შესახებ. ამ განკარგულებამ სალდათებს შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია და გადაჭრით უარი განაცხადეს ტრადიციული ფესვების შეცვლაზე.

**აფიცრების დაწუნარება.** საბერძნეთის აფიცრებში ამას წინათ მღელვარება დაიწყო. მათ რამდენიმე მოთხოვილება წამოაყენეს. სხვათა შორის, პრინცების სამსახურიდან გადადგომისა. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ აფიცრების ყველა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. პრინცები სამსახურიდან გავიდენ და საზღვარ-გარეთ მიდიან.

**მდგომარეობა ათინაში.** „რეჩი“-ს სიტყვით, მდგომარეობა ათინაში სერიოზულ სახეს ღებულობს. მემკვიდრე-პრინცის წინააღმდეგ მტრობა თანდათან ძლიერდება. ამ დღეებში კაროლევიჩის ბინის ფანჯარას ტყვიამ მინები ჩაამტვრია და კედელს მოხვდა. მემკვიდრე სახლში არ იყო.

### რუსეთი

**პანოვის გაგზავნა.** „ცნობილი“ პანოვი უკვე გაგზავნეს თავის სამშობლო ბოლგარიაში. როგორც ვიცით, პანოვი სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ დაატყვევეს მოსკოვში. სამი თვე ციხეში იჯდა სხვისი პასპორტით სარგებლობის გამო. მას გზავნიან, როგორც უცხოელს, რომელსაც ნება არა აქვს იცხოვროს რუსეთში.

**„ჭეშმარიტი რუსები“.** გუშინ ვწერდით, რომ „ჭეშმარიტმა რუსებმა“ კრება მოახდინეს გერცენშტეინის საქმის რუსეთში გადმოტანის შესახებ. გაზეთების ცნობით, ამ კრებას ზოგი ოქტომბრისტებიც დასწრებია. „ჭეშმარიტებს“ იმედი აქვთ, რომ მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, რადგან იუსტიციის სამინისტროში ისინი დიდი მფარველობით სარგებლობენ. ამ დღეებში ბულაცელმა სთხოვა მთავრობას კომისიის დანიშვნა კრასკოვსკის ჯან-მრთელობის შესამოწმებლათ. მთავრობამ უარი უთხრა. ახლა ბულაცელი შუამდგომლობის აღძვრას აპირებს ხელმწიფის წინაშე.

— „ჭეშ. რუს. კავ“. უმაღლესმა საბჭომ თავის განყოფილებებს ბრძანება დაუგზავნა. ამ ბრძანების თანახმათ ყველა განყოფილებებმა დეპეშით უნდა მოითხოვონ ფინლიანდიის, როგორც დაპყრობილი ქვეყნის, დამოუკიდებლობის მოსპობა.

**ცნობილი ტერორისტი.** ამ დღეებში პეტერბურგში გაძლიერებული დარაჯებით მოიყვანეს ვოლკოვი. ვოლკოვისათვის სარატოვის სასამართლო პალატას ტერორისტული აქტების მომზადებისათვის ხუთი წლით კატორღა გადაუწყვეტა. შემდეგ ციხეში გაუგიათ, რომ ვოლკოვი მოგონილი გვარია. ნამდვილათ კი, ის სლეპუხინია და ჩრდილოეთის სოც.-რევ. მებრძოლ რაზმის წევრია. ის რამდენიმე წელს მებრძოლი რაზმის უფროსათ ყოფილა და რამდენიმე ტერორისტული აქტი მოუხდენია. მას მჭიდრო დამოკიდებულება ქონია სხვადასხვა ცნობილ ტერორისტებთან და დიდი ხანია, რაც პოლიცია დაეძებს თურმე, როგორც საშიშარ დამნაშავეს.

**ქვეითათ მგზავრი.** მოსკოვში მოვიდა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების

---

# საპყრობილეში

### 3. სიერთო კამერაში.

(გაგრძელება)

ალიოშა, ნიშნათ იმისა, რომ ასეთ სულელურ კითხვაზე პასუხის მიცემა არც კი ღირს, მხრებს აქუშმუშებს და მეორე კუთხისკენ მიდის, ბორკილს მიაქღარუნებს, მიდის ერთ ერთ ტუსაღთან და თხოვს ზურგი მოფხანოს.

— კოლა, მოგვიყევი რამ, ან წაგვიკითხე! ეუბნება ვიღაცა კოლას.

— რა უნდა მოგიყვეთ, ამხანაგო, როცა არაფერი ვიცი... წიგნს რასმე წავიკითხავდი, მაგრამ ეხლა არც ეს შეიძლება.

სანთელი ოდნავ ანათებს, ასე რომ, ყოვლად შეუძლებელია იმის სხივებით სარგებლობა თუ შუაგულას არ გაჩერდი, პირდაპირ მის ქვეშ, ეს კი სასტიკათ აკრძალულია. რატომ? ღმერთმა იცის რატომ, ცხადია მხოლოდ ერთი, რომ სასტიკათ ადევნებენ თვალს არავინ დაარღვიოს ეს განკარგულება.

ტუსაღების უმრავლესობა უკვე მიწოლილია, ზოგიერთი კი დადის წინ და უკან, ხოლო რათა ბორკილებმა ხმაურობა არ გამოსცეს, ბორკილის ჯაჭვის თავი ხელში უჭერიათ, ასე რომ, რგოლები დაწეწულია, რის გამო რკინა არ ხვდება რკინას. ესეც სასტიკათ აკრძალულია—ბორკილების ღლარუნი,—რის გამო ხშირათ სიარულსაც არ ანებებენ, —ბორკილის ტარება არ იციან.

კოლა გულაღმა წევს და ალბათ რაიმეზე ფიქრობს, ორივე ხელის გულზე დაწყობილი შავი რკინის რგოლებით გარეშემო. სინათლე ოდნავ ანათებს იმის სახეს, ეხლა კიდევ უფრო ლამაზს და მეოცნებეს.

— თქვენ, ამხანაგო, ქართველი ხართ, არა? მეკითხება ერთ ხანს მერმე ის.

— ქართველი ვარ.

— აი, მე რამდენჯერ მინდოდა თქვენ ქვეყანაში მოსვლა, კავკასიის ნახვა... მის მაგიერ კი აქ მოვედი, ამ პანსიონში... კავკასიაში უზარ-მაზარი მთებია, დიდებული ბუნება არისო, ამბობენ... ჰო, რა თქმა უნდა, ეს მეც ვიცი, გეოგრაფიიდან მახსოვს იალბუზი, ყაზბეგი, მათი ტოტები, რომლებითაც მოცულია კავკასია... თერგი... გიჟი თერგი... და თუმცა ეს ვიცი მე, მაგრამ ახირებულია, საქართველოს შესახებ სულ სხვა ნაირი წარმოდგენა მაქვს... დაიცათ, როგორ გითხრათ ეს, რომ გაიგოთ .. მე ზეპირათ ვიცი პუშკინის ერთი მშვენიერი ლექსი, სადაც ნახსენებია საქართველო, სწორეთ ამ ლექსმა დაბადა ჩემში ახირებული წარმოდგენა თქვენ სამშობლოზე... ვერა, ვერ მიგახვედრებთ, ვერა!.. აი ის ლექსი:

На холмахъ Грузіи лежитъ ночная
мгла,
Шумитъ Арагва предо мною.
Мнѣ грустно и легко: печаль моя
свѣтла·
Печаль моя полна тобою.
Тобой, одной тобой! Унынья моего
Никто не мутитъ, не тревожитъ,
И сердце вновь горитъ и любитъ
оттого,
Что не любить оно не можетъ...

— ვიშ, რა მშვენიერათ კითხულობთ თქვენ! წამოვიძახე მე.

— მართლა ეს? მე კი მგონია, რომ აგიხსენით თქვენ თუ რა წარმოდგენა მაქვს მე საქართველოზე... მაღალი გორა, ერთათ-ერთი მაღალი გორა და ამ გორაზე, ზედ მწვერვალზე ვდგევარ მე, მე მარტო და სხვა არავინ. ჩემ წინ დაბლობში გადაშლილ თვალ გადაუწვდენელ ველს, რომელიც აქა იქ დასერილია პატარ-პატარა გორაკებით და რომლის შუაგულას მიიკლაკნება არაგვი, აი ამ ველს, ამწვანებულს, თითქოს დაფიქრებულს, ნელ-ნელა ეხვევა ბინდი, ნელ-ნელა ეკარგება ფერი, იმალება ღბამის სიბნელეში... და შენ შეყვარებული ხარ, სადღაც შორს, სადაც სინათლე და სიბნელე თითქმის ერთმანეთში ითქვიფებიან.·. დიახ, დიახ, დაღამებისას არის ერთი წუთი, როცა სინათლე-სიბნელე თითქმის ითქვიფებიან ერთმანეთში... სადღაც შორს შენ გეხატება თვალწინ შენი საყვარელი სახე, იწევა ის მაღლა, მაღლა, რაც უფრო ბნელდება სულ უფრო მაღლა მიდის და ბოლოს რომელიმე ვარსკვლავათ ქცეული ზეციდან მიღიმის, თვალს გიქნევს... აი ეს მიდგება მე თვალწინ როცა უცებ გამახსენდება: На холмахъ Грузіи лежитъ ночная мгла... და ეს არის საქართველო... ოჰ, არა... მე ვერ გითხარით როგორც მინდა, არ შემიძლია გითხრათ.. ძალიან ლამაზია საქართველო?

— ჩემი შეხედულებით ძალიან ლამაზია.

— შვეიცარიაში ყოფილხართ?

— ვყოფილვარ.

— სად უფრო ლამაზია ბუნება—იქ თუ თქვენში?

როგორ გითხრათ! ვინც რაჭაში ყოფილა (ეს ქუთაისის გუბერნიის ერთი მაზრაა) იმისთვის შვეიცარია სრულიადაც არ არის ლამაზი. ეს არის მხოლოდ, რომ შვეიცარიაში ბევრი ადამიანის შრომაა დახარჯული, ჩვენი ბუნება კი ჯერ-ჯერობით, ასე ვთქვათ, ღდდი შობილა იცჟ ქირება, ადამიანს ჯერ არ დაუწნევია თავისი ხელი მისთვის.

— მაღალ-მაღალი მთებიდან ჩუხჩუხით, ხმაურობით ჩამორბიან წყლები!.. გაზაფხულის ცრემლები!..

— დიახ, ჩამორბიან! ვეუბნები მე და ვიღიმები.

— ასეთ წყლებს რუსები ეძახიან „მთის ძუძუებს„—грудь горъ.. არის თუ არა რაიმე ამგვარი, ასე ვთქვათ, პოეტური სახელი ქართულ ენაზე?

— არის,—ვეუბნები,—მთის პირის ჩამონაბანი..

— მთის პირის ჩამონაბანი! მთის პირის ჩამონაბანი! ესე იგი მაღალმა მთამ პირი დაიბანა, თმაზე და წვერზე წურწურით ჩამოსდინდენ წვეთები, ჩამოირბინენ სხეულზე და ძირს, ფეხებთან დაეშვენ ვერცხლის წინწკლებათ, ჩუხჩუხით და სიცილ-თამაშით დაექანენ ძირს, დაბლობისკენ. და ეს არის მთის პირის ჩამონაბანი!.. ღმერთმანი, მშვენიერია!.. მითხარით, რა თქმა უნდა, საქართველოში ბლომათ არის ტყე, უღრანი ტყე ვებერთელა მცენარეებით, გაუვალი, შავი ტყე, მუდამ დაფიქრებული და გულ ჩახვეული?..

— ტყე საქართველოში არის.

— თქვენ იცით, გამოგიცდიათ დუმილი ტყისა? იცით რას ნიშნავს ტყის დუმილი?

— ესე იგი, როგორ თუ დუმილი?

— აი მაგალითად, შეხვედი დაბურულ ტყეში. გარშემო უზარმაზარი, შავი მცენარეები გახვევია. შენ, შენდა უნებურათ ჩერდები და რაღაცას უგდებ ყურს. ტყეში კი ერთი ფურცელი რა არის, ერთი ფურცელიც კი არ ინძრევა არსად. ტყე დუმს და სწორეთ ეს დუმილი ლაპარაკობს, ისე მარტივათ, ისე მკაფიოთ და გარკვეულათ, ისე ლამაზათ, ისე მწყობრათ... შენ დგეხარ, დგეხარ და ფეხის გადადგმას ვერ ბედავ, რათა არ დაირღვეს ეს მიუწდომელი ჰარმონია, ეს ღრმა შინაარსიანი და ტკბილ ხმიანი, ღრმა შინაარსიანი დუმილი, დუმილი ტყისა... გამოგიცდიათ რაიმე ამ გვარი თქვენ?

— მართალი გითხრათ, არ გამომიცდია! კოლა კი, თითქოს არ გაუგონია ჩემი პასუხი, განაგრძობს:

— იცით რას გეტყვით? ხანდახან მე დავფიქრდები იმაზედ, თუ როგორ მოვიქცევი მაგალითათ, რომ უცებ გამიღონ კარები და მითხრან· ნიკოლაი დროზდოვ! შენ თავისუფალი ხარ, აიკარი გუდა-ნაბადი და გასწი, გაქრი აქედანო. და მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ერთ წამსაც არ გავჩერდები ქალაქში, არც სოფელში, არც ერთ ნაცნობს არ ვინახულებ, არც დედაჩემს.. წავალ, წავალ უღრან ტყეში, წავალ შორს, მოვნახავ დაბურულ ალაგს, სადაც მხოლოთ ზეცა მოჩანს, გამოვარჩევ უზარმაზარ ხეს და იმის ძირაში მოვლობავ ქოხს და იქ დავბინავდები.. ათასი წელი რომ გაველო, ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ ამოვიღებ ხმას, ერთი ღერი სიტყვა არ წამომცდება, ვიქნები მუნჯი, ხოლო, როცა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას დავინახავ, ვარსკვლავებს გავუღიმებ.., და დავუგდებ ყურს ტყის დუმილს... ღმერთმანი' ხანდახან მგონია სწორეთ აგრე მოვიქცევი.., მე მესმის თუ რათ გარბოდენ ეს კეტები უდაბნოში, მესმის მათი სულის კვეთება, რომლებიც შორდებოდენ სოფელს, იმალებოდენ გავარდნილ ტყეში და დუმდენ..

— რა თქმა უნდა, ეს თქვენი მუდმივი აზრი არ არის, თქვენ მხოლოდ ხანდახან მოგეხასიათებათ ეს, ვეუბნები მე კოლას.

— ხანდახან კოლა სრულიათ ბერს ემსგავსება—მონასტრის მორჩილს. ხან კი ძალლიერით იბრძვის! ისმევა ვიღაცა შენიშნევას, რომელიც, ალბათ, ყურს უგდებს კოლას ლაპარაკს.

— ჰე! ჰე! კმარა დაღლადი, დაიძინეთ! უკვე ათი საათია! ლაპარაკი არ იყოს!.. დროზდოვე, შენ ენა დაიმოკლე, აქ მიტინგი არ არის.

— ღამე მშვიდობის! მესმის კოლას ნელი ხმა.

— ღამე მშვიდობის, ამხანაგო!

წევრი ლიადონე. ლიადონეს გადაწყვეტილი აქვს მთელი ქვეყანა ქვეითათ შემოიაროს. ის ეხლა მოსკოვში ქვეითათ მოვიდა პარიჟიდან. ის დანაძლევებულია, რომ მთელი ქვეყანა ერთი წლის და 7 თვის განმავლობაში უნდა შემოიაროს. მოსკოვიდან ის ციმბირში მიდის, იქიდან ამერიკაში, ხოლო იქიდან დაბრუნდება საფრანგეთში. ამერიკაში გასვლას ფიქრობს ყინულით. მოსკოვიდან ის 16 აგვისტოს გასულა. მიყვება რკინის გზის ლიანდაგს.

**გადასახლებულის წერილი.** „რეჩ“-ში დაბეჭდილია იაკუტის ოლქში გადასახლებულის წერილი, სადაც აწერილია ყველა ის შევიწროვებანი, რომელსაც გადასახლებულნი საზოგადოთ და კერძოთ პოლიტიკურები განიცდიან. წინეთ თურმე გადასახლებულთ ხაზინიდან მეტი დახმარება ეძლეოდათ, იანვრიდან ყველასათვის შეუმცირებიათ. საერთოთ, დახმარება განისაზღვრება 9—15 მან. თვიურათ. სურსათის ყოველგან სიძვირე ყოფილა. მაგ. ვერხნოიანსკში გირვანქა შაქარი ღირს 40 კ. შავი პური გირვანქა 10 კ. თეთრი—20 კაპ. ხორცი, გირვანქა 20—25 კაპ. ერთი სიტყვით, ყველაფრის სიძვირე—ოთახის, გათბობა-განათების და სხ. მთავრობის „დახმარება“ საკმაო არ არის. ინტელიგენტური შრომა ნება დართული არ არის. იაკუტის და ვილიუისკის ოლქებშიც სიძვირე ყოლა. პური გირ. 6 კაპ. ხორცი—7 კაპ. კვერცხი ათეული 50 კ. და სხ. პოლიტიკურებს თურმე ყველანი ეჭვის თვალით უცქერიან, ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობენ თურმე ზოგიერთი პოლიტიკურები და არა პოლიტიკურები. ვილიუისკში გაუძარცვავთ დუქანი, რომელიც პოლიტიკურებისთვის დაუბრალებიათ. ხალხი თურმე არ არჩევს პოლიტიკურებს არა პოლიტიკურებისაგან და ყველა ბოროტმოქმედებას პოლიტიკურებს აწერს. ვილიუისკში ნოქარი თურმე მაღაზიიდან გარბის, როცა იქ პოლიტიკური მიდის რაიმეს სასყიდლათ, აგრეთვე, პოლიტიკურების შიშით ქალები ქუჩაში ვერ გამოდიან. გადასახლებულებში გავრცელებული ყოფილა ურთი-ერთ შორის მტრობა და შური, რაც თურმე ზოგიერთებზე მეტათ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და თავს იკლავს. რამდენიმეს კიდეც მოუკლავს თავი.

### ისპანია

**მავრიტების სიმხეცე.** გაზეთ „მარ. ლ.“ ატყობინებენ, რომ მავრიტები საშინელი სიმხეცით ეპყრობიან ტყვეთ ჩავარდნილ ისპანელ სალდათებს. მელილიაში, გაზეთების სიტყვით, მოვიდა მავრიტების ბანაკიდან გამოქცეული სალდათი, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა: გურგუს მთის მწვერვალზე არის კლდეში დიდი ხრამი დაახლოვებით 300 მეტრის სიღრმეა. ეს ხრამი ერთიან სავსეა ტყვეთ ჩავარდნილ ისპანელების გვამებით. როცა ისპანელი ტყვეთ ჩაუვარდება მავრიტებს, ჯერ საშინლათ აწამებენ, ხოლო შემდეგ ხრამში გადაისვრიან. ხშირათ მომხდარა, რომ ტყვე ჯერ ნაკუწ-ნაკუწათ დაუჩეხიათ, ხოლო შემდეგ ხრამში გადაუგდიათ. სალდათი ირწმუნება, რომ ხრამში უკანასკნელი, ათასი გვამი მაინც იქნებაო,

**რეპრესიები.** ბარცელონას მთავრობამ ქალაქში 26 პირველდაწყებით სკოლა დახურა. ეს სკოლები სამღვდელოების გამგეობაში იყო. დახურული სკოლების 25 მასწავლებელი ქალაქიდან გააძევა

### საზღარ-გარეთ.

**გაფიცვა შვეციაში.** თუ გაზეთ „ბერ. ტაგ.“ დავუჯერებთ, ახლო მომავალში გაფიცვის შეწყვეტას უნდა მოველოდეთ. ამ გაზეთის ცნობით გაფიცვის კომიტეტი ვითომ კიდეც დარწმუნდა, რომ გამარჯვება შეუძლებელია.

ეს ცნობა მას ბურჟუაზიული გაზეთებიდან ამოუღია, ამიტომ მისი დაჯერება შეცდომა იქნება. იმავე გაზეთის ცნობით, მდგომარეობა თანდათან რთულდება და საშიშარ ხასიათს ღებულობს. მოსალოდნელი არეულობის მოლოდინში, სტოკჰოლმში მყოფ ჯარს კიდევ ერთი ბათალიონი მიუმატეს. ამასთან, კოროლის ბრძანებით გაფართოვებულ იქნა ქალაქის მთავრობის კომპეტენცია წესიერების დაცვის შესახებ.

— პარლამენტის ორმა დეპუტატმა, ლიბერალური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრებმა, მთავრობას შუამდგომლობის პროექტი გადასცეს. პროექტი სასტიკათ კიცხავს გაფიცულებს და რჩევას აძლევს მთავრობას არ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც გაფიცულებს დათმობათ შეეძლოთ ახსნან, პროექტი ასეთ გამოსავალს უჩვენებს მთავრობას: სამედიატორო სასამართლო, იმ პირობით, რომ დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნას გაფიცვა. ან მომრიგებელი კომისია, ან კიდევ ერთიც და მეორეც. ზოგ კითხვებს სამედიატორო სასამართლო გაარჩევს, ზოგს კიდევ მომრიგებელი კომისია.

**ტრედ-იუნიონების კონგრესი.** ამ დღეებში იპსვიჩში საზოგადოებათა პალატის წევრის შეკლტონის თავმჯდომარეობით გაიხსნება ტრედ-იუნიონების მორიგი კონგრესი—კონგრესს 490 დელეგატი დაესწრება, 1,700,000 მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელნი ამ კონგრესზე პირველათ მიიღებენ მონაწილეობას სოფლის მუშათა ტრედ-იუნიონები.

კონგრესის ბიურომ უკვე მიიღო რეზოლიუციის 100 პროექტი. ამათგან უმეტესი ნაწილი უმუშევართა საკითხს შეეხება. ეს საკითხი დიდი ხანია უთანხმოებას იწვევს მუშებსა და მთავრობის შუა. რეზოლიუციის პროექტებით კიცხავენ მთავრობას, რომ დღემდე ენერგიული ზომები ვერ მიიღო ამ კითხვის გადასაწყვეტათ და მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ მუდამ აწარმოვოს საზოგადო სამუშაო, რომ უმუშევრებს საქმე ქონდეთ. ერთ რეზოლიუციაში მოითხოვენ, რომ შრომის ბირჟის ხელმძღვანელობა ტრედ-უნიონების ხელში იყოს. ერთი რეზოლიუციით მოითხოვენ შესდგეს სპეციალური შრომის სამინისტრო, რომელსაც გადაეცემა შრომის დაცვის ფუნქციები.

სოციალურ ეკონომიურ კითხვების გარდა კონგრესი განიხილავს საზოგადო-პოლიტიკურ საკითხებს: როგორც მაგალითად, საარჩევნო რეფორმა, სამხედრო ბეგარა და სხვა..

## ახალი ამბები

**ჩამოხრჩობა.** 10 აგვისტოს ჩამოახრჩვეს გიორგი ხიზანაშვილი, ივანე ინაშვილი და თედო ლაბაური, რომლებსაც ბრალდებოდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. 21 აგვისტოს დილის 5 საათზე ჩამოახრჩვეს იოსებ პუხაშვილი. მას ბრალდებოდა კაცის მოკვლა და ძარცვა-გლეჯა.

✦ **თათბირი ერობის შესახებ.** 20 აგვისტოს გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი სექციის კრება. განხილულ იქნა საკითხი საერობო დაწესებულებათა წყლის საქმესთან დამოკიდებულების შესახებ. ვრცელი მოხსენება გააკეთა ინჟ. აბელოვმა. მან სხვათა შორის აღნიშნა, რომ წყლის საქმე ჩვენში ძალიან კარგათ არის მოწყობილი, 50,000 მან. იხარჯება, მაგრამ უმჯობესია ის სავსებით ერობის ხელში გადავიდესო. პრინციპიალურათ ამის თანახმა მთელი კრება იყო, მხოლოდ დაიბადა საკითხი, თუ რა სახით გადაეცეს ერობას. ამის შესახებ გაიმართა კამათი. უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა, რომ ეს მოსახერხებელია თანდათანობით და არა ერთბაშათ. ამასთანავე, გამოითქვა ის აზრი, რომ საჭიროა ერობას გადაეცეს როგორც ამ საქმის სამეურნეო, აგრეთვე ეკონომიური ფუქციები, ხოლო სამოსამართლო გამოყოფილ უნდა იქნასო. კრებამ გადასწყვიტა მიეცეს ბ-ნ აბელოვს კიდევ ორი კვირის დრო და შემდეგ კრებაზე წარმოადგინოს ვრცელი მოხსენება, თუ რა და რა ფუნქცია უნდა გადაეცეს ერობას.

✦ **„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“** გამგეობამ 20 აგვისტოს სხდომაზე მსჯელობა იქონია ზუბალაშვილის სახელობის ორი თავისუფალი სტიპენდიის შესახებ. მიღებული იყო 200-მდე თხოვნა. სხდომამ უმჯობესათ დაინახა გამოეყო 25 ყველაზე უფრო ულარიბესი მთხოვნელი და მათ შორის ეყარა წილი. წილი ხვდა ტომსკის პოლიტ. ინსტიტუტის სტუდ. ტარასი ნიჟარაძეს და აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტ. შოთა დადიანს.

✦ **ახალი გაზეთები.** ამ დღეებში თფილისში ნ. მელიქ-შახნაზაროვის რედაქტორობით გამოვა ყოველ დღიური სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ქართულ ენაზე „მომავალი“. თფილისში მცხოვრებმა დარია ხრამელაშვილმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დაერთოს მას გამოსცეს თფილისში ქართულ ენაზე გაზეთი „სახალხო გაზეთი“. გაზეთი გამოვა ორ დღეში ერთხელ და ეღირება ნომერი 2 კაპ.

✦ **ახალი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** მთავრობამ ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნას ლეჩხუმის მაზრის სოფ. ჭრებალოში ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

✦ **საიდუმლო კონტროლები.** ამ დღეებში რკინის გზის სამმართველომ აცნობა ყველა ადგილობრივ განყოფილებებს, რომ ვინაიდან ბოროტმოქმედებანი ისევ ხდება რკინის გზებზე და უბილეთო მგზავრები კვლავ დადიან, 1 სექტემბრიდან პეტერბურგიდან ინიშნებიან საიდუმლო კანტროლები. ისინი აღჭურვილი იქნებიან დიდი უფლებებით და გარდა მატარებლებში კანტროლისა, მოახდენენ სამმართველოების საქმეთა რევიზიას.

✦ **ძალადობა.** „თფ. ფურც“. სწერენ ახალციხიდან: „ადგილობრივ კლუბის წევრმა ი. შ. მოვსესიანმა და 3 მისმა ამხანაგმა საღამოთი მახლობელ სოფელში გაიტაცეს ახალგაზრდა ქალი, რომელზედაც ვითომდა ჯვარი უნდა დაეწერა და ძალა იხმარეს. პოლიციამ სამივე დააპატიმრა. დააპატიმრეს აგრეთვე მეეტლე.

✦ **თავის მოკვლის კანზრახვა.** 20 აგვისტოს ეკატერინის ქ. მცხოვრებ თფილისის მოქალაქემ ნინა კადეიროვამ მოინდომა თავის მოკვლა და დალია კარბოლის სიმჟავე. ის გაგზავნეს მიხეილის საავათმყოფოში.

✦ **ვაგონის დაკარგვა.** 2 აგვისტოს სად. ყარსიდან გაგზავნილ იქნა წამლებით დატვირთული ვაგონი, რომელიც უნდა გაეგზავნათ ენზელში სამხედრო უწყებისათვის. მას შემდეგ ეს ვაგონი ბაქოში არ მისულა და სად არის არც ის იციან. რკინის გზებზე გაიგზავნა რამდენიმე აგენტები, რომლებმაც უნდა მოძებნონ დაკარგული ვაგონი.

✦ **თფილისის ტრამვაის** დირექტორის თანაშემწეთ დაინიშნა ლ. გ. გისი, მდივნათ—ფ. ტახტაჯიანი.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** მეცადინეობა დაიწყება 20 აგვისტოდან. (?) დღემდე სურვილი განაცხადა 150 მსმენელმა.

✦ **სამკურნალოები.** სექტემბრიდან თფილისის გუბერნიაში გაიხსნება 7 ახალი სამკურნალო. სამკურნალოსთან ერთათ მოთავსებული იქნება საფერშლო პუნქტები.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: 24 აგვისტოს სადამოს 10 ს. 40 წ. თფილისიდან მიდის მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსების ექსკურსია.

✦ სვგ. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ მაგიდეთ ბაქოდან მუსა ნაგიევის ფაბრიკის მუშებში შეგროვილი 5 მან.

✦ **„მათრახი“.** იუმორისტიული ჟურნალი „მათრახი და სალამური“-ს № 11 გამოვა შაბათს, 22 აგვისტოს. პროვინციაში გაიყიდება შაბათ დილით, თფილისში სადამოს.

### წერილი ქუთაისიდან.

### (ფიქრები და შენიშვნები).

შებინდებული იყო... სუსხიანი მზე თავის სავარძელს მისვენებოდა... ცელქი ნიავი აქა იქ გაიმამაშებდა ხოლმე ჰაერში და უმალვე მიყუჩდებოდა, თითქოს სურს მზის სხივებით შეწუხებულს ადამიანს თავისი ღირსება უფრო მეტათ აგრძნობინოსო. ხალხი ქალაქის ქუჩებს მოსდებია და ხარბათ ეწაფებოდა შედარებით გრილ ჰაერს.. ქუთაისის „ბულვარიც“ ჩვეულებრივათ ამოძრავებულიყო. ეს ერთათ ერთი ადგილია ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრების სიცოცხლის გამომხატველი, მისი მაჯის ცემის მაჩვენებელი, ხოლო, ვინაიდან სიცოცხლის მატარებელი ყველაზე უფრო ახალგაზრდობაა, ამიტომ ქუთაისის ბულვარიც მათ ასპარეზს შეადგენდა. თითქოს ამ თავის უპირატესობას თვით „ბულვარიც“ გრძნობდეს; მართლა მშვენიერი

---

დიდხანს, დიდხანს ვერ ვიძინებ. დიდხანს ვდევარ გულაღმა, მაგრამ არაფერზე არ ვფიქრობ, ისე გარინდებული ვუცქერი იატაკს ჩემ ზევით, რომელზეც მთვარის შემონაშუქი ებრძვის სანთლის შუქს.., არ მძინავს, ხოლო ჩემი ამხანაგების ძილი ფრთხილია და შეშფოთებული. იქ ვიღაც ბოდავს, იქ ვიღაც სიჩქაროთ დგება ზეზე და რა ესმის მისივე ბორკილების ღჟარუნი, გაკვირვებული იცქირება გარშემო... ერთ ალაგას კი, ვიღაცა გულიანათ ხარხარებს... ვინ იცის, რამდენ რას ხედავს ამ ჰაწია, ვიწრო და მყრალ ოთახში ოცდა ათი ახალგაზრდა, რომელთა სული და გონება ეხლა სხვაგან ქრის.. უცებ ისმის აჩქარებული ფეხის ხმა, გძელ კორიდორში იწყება ფათური და ბაბოლის იღება ჩვენი კამერის კარები.

— Смирно! ფეხზე დადექით! მოემზადეთ გასაჩხრეკათ! უკმეხათ, მუჯლუგუნით აყენებენ ფეხზე ტუსაღებს, ატიტვლებენ, აფორიაქებენ ყოველივეს და მიდიან ისევ... არსად, რუსეთის არც ერთ სატუსაღოში არ აღვიძებენ ყოველ ღამე ტუსაღებს, ატიტვლებენ, აფორიაქებენ ყოველივეს და მიდიან ისევ... არსად, რუსეთის არც ერთ სატუსაღოში. არ აღვიძებენ ყოველღამე ტუსაღებს და არ ჩხრეკენ. მხოლოდ აქ არის მიღებული ეს. პატარა საპყრობილეა ჩვენი სატუსაღო და ეშინიათ ამ პატარა სახლში დამწყვდეულმა დიდმა დამნაშავეებმა თავს არ უშველონო. ნამდვილათ კი, შლისსელბურგის სატუსაღოდან უფრო ადვილია გაქცევა, ვიდრე აქედან.

— ღამე მშვიდობის ამხანაგო! მესმის ისევ კოლას ხმა, რომელშიც ვატყობ დაცინვას, თითქოს ამით მას უნდოდა ეთქვა—შეხედე რავა გვიფრთხილდებიან, ჩვენი ჭირისუფლებიო.

— ღამე მშვიდობის! ვაძლევ მე პასუხს და არ ვიცი როდის მეძინება.

— На повѣрку! Встать на повѣрку!

უნდა ავდგე. თავი კი საშინლათ მტკივა. ფანჯრიდან მოჩანს სისხლივით წითელი ზეცა, რამდენიმე მტრედი მოაჯირზე —შავი პურის მოლოდინში. ეს ბინძური, თითქოს ჰლექიანი მტრედებია ჩვენი მტრედები და მე უცებ ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რათ მოუვიდა ქრისტეს აზრათ მტრედისთვის უმანკო ეწოდა.

„ასეთი ბინძური და ასეთი სულელია“! —ეს მტრედები, მილაგდება თავში აზრი და ამასთან ერთად მაგონდება არა თუ ქრისტე, არამედ საზოგადოთ ბიბლია, სადაც მტრედი ხან მახარობელია, ხან სამსხვერპლოა და ვინ იცის, კიდევ რა, ხან კი სული წმინდა მტრედის სახეს ღებულობს; „ასეთი ბინძური და სულელი ფრინველი!“... და ყოველივე ამას გარდა აკრძალული გვაქვს მტრედები ვკვებოთ —გართობაა ესო, ხოლო, ყოველნაირი გართობა აკრძალულია აქ, სატუსაღოში.

„ასეთი სასტიკი და ველური ადმინისტრაცია გვყავს“. ვრწმუნდები, რომ ნერვები მაქვს უზომოთ აშლილი, მაშასადამე, არა თუ მტრედი, არამედ ბულბულის გალობაც კატის ჩხავილათ მომეყურება.

ეჰ, უნდა ავდგე!

დედა გყავს შენ? არა? ერთი მხრით ბედნიერი ყოფილხარ!.. მე კი დედა მყავს ჩემდა საბედნიეროთ და აგრეთვე საუბედუროთ. მომინდა იმაზე ფიქრმა. მადლობა ღმერთს, რომ ახლა ჩვენ მხოლოდ თვეში ერთხელ შეგვიძლია ვინახულოთ ერთმანეთი, თორემ წინეთ...

— აქ ცხოვრობს დედა შენი?

— არა, აქედან იქნება ორმოცი ვერსტი, სოფელში. ამ სიშორედან ის კვირაში ორხელ დადიოდა ჩემდა სანახავათ, სამოცი წლის ბებერი. მე დედაჩემს ვუყვარვარ. მხოლოთ დედა მაწუხებდა, როცა სიკვდილი გადამიწყვიტეს... დაიწყეს განჩინების კითხვა, დავცქვიტე ყურები, თუმცა აშკარა იყო თუ რა განაჩენს გამოიტანდენ. აი მიაწიეს იმ ალაგას, სადაც ეწერა: სიკვდილით სასჯელი. და უცებ, ჩემდა უნებურათ მე გავიხედე დედა-ჩემისკენ, ისიც თურმე მე მიცქერდა. და იცი? მან გამიცინა მე. დიახ, გამიცინა ჩემმა ბებერმა დედამ და მგონია, მეც ღიმილით ვუპასუხე მას. რომ ეყვირა იქ, რომ თავისი ჭაღარა თმები გაეშალა და დაეგლიჯა, სახე რომ დაეკაწრა, ღმერთმანი ასე არ დამამძიმებდა, ასე არ დამიკოდდა გული... აი, ახლაც ვხედავ იმ თითქოს დამღრალ, გაყვითლებულ, ღიმილს, დიახ გაყვითლებულ, დამღრალ ღიმილს. შემხედა მან თვალებში, სახე გაუფითრდა, უცებ თითქოს ერთიან დაბერდა ისედაც მოხუცი დედაჩემი, უცებ მოიხარა, მოტყდა წელში, მე კი გამიცინა. საჩქაროთ გავიხედე განზე, ერთი ასეთი შემოხედვა, ასეთი ღიმილი კიდევ და მე მუხლებზე დავეცემოდი და ველურ ბღავილს მოვრთავდი. სასტიკია დედაჩემი, დამსაჯა მე იმან. ერთხელ მაინც გამეგონა მისგან საყვედური, ერთხელ მაინც ეთქვა მას, რომ დავტანჯე ის, მოუშხამე სიბერე მე, მისმა ერთათ ერთმა შვილმა, ისეთი სიყვარულით გამოზრდილმა, მისმა ობოლმა. ერთხელ მაინც ეთქვა, რომ მძიმეა ჩემ მიერ მიყენებული ტანჯვა... არა, არაოდეს არაფერი ამგვარი მას ჩემთვის რომ, ერთხელ მაინც დაეძრახე, შემდავებოდა, დამზგავსებოდა ჩვეულებრივ მშობელს, რომელსაც შვილი თავისთვის უნდა... არა, არაოდეს! სასტიკია დედაჩემი, ჩემი ბებერი, დამსაჯა მე იმან, მაგრამ რა მძიმეთ დამსაჯა! მოვა, მინახულებს ის, ძლივს ვხედავ რკინის დოლბანდში იმის სახეს, ფერმკრთალს, დაღვრემილს, ძლივს ვხედავ იმის მიმქრალ თვალებში, თუ როგორ თამაშობს ცრემლის წვეთი, მეუბნება ახალ ამბებს, ერთხელაც არ ახსენებს თუ როგორ იტანჯება, თუ რამდენი შეურაცხყოფა და დაცინვა გამოსცადა ადმინისტრაციისაგან და 10 წუთის შემდეგ მიდის ისევ უკან. ჩემი ბებერი დედა, მიაქვს უკან მისი მოხუცებული მხრებით დიდი ტანჯვა, დიდი ტკივილი, დიდი შეურაცხყოფა. ძნელია ეს ძამია, ძნელია! წარმოიდგინე ახლა, რომ ის, ადრე იქნება თუ გვიან მოკვდება და მე ვერ დავესწრები იმის სიკვდილს, ვერ დავიტირებ მას, ვერ ვინახულებ მის საფლავს. მე ვერ დავიჭერ სიკვდილის წინეთ იმის ძვალ-ტყავა ხელს ჩემს ხელში, ვერ ვაკოცებ მას, ის მე ვერ დამინახავს სასტუმალს, ის დამიწყებს ძებნას თვალებით, მის ერთათ ერთ შვილს, მის იმედს.. ძნელია ეს ძამია, ძნელია! და ერთ წუთს, სიკვდილის წინეთ ის ერთხელ კიდევ წარმოიდგენს, რომ არსებობს ამ ქვეყანაზე კანონი, რომელსაც ებრძოდა მისი შვილი, რომ სძლია კანონმა ის და სამუდამოთ, სამუდამოთ წაართვა დედამისს შვილი, იმედი, სიყვარული. წაართვა ის, შეუკრა ხელ-ფეხი რკინის ბორკილებით, ჩაუგდო ხელში და უთხრა—აწამეთ, სიკვდილი მონატრეთო! ერთხელ კიდევ წარმოიდგენს ამას და სიმწარეში, გულზე ნაღველ გადარებული მოკვდება ის, ჩემი ბებერი დედა. ძნელია ეს ძამია, ძნელია! მე ხშირათ ვფიქრობ იმაზე, მინდა თუ არ მინდა, მიდგება ის თვალწინ, ყოველთვის მომაკვდავი მიდგება ის თვალ-წინ, გული მეკუმშება... ამ დღეებში, ერთ ღამეს ძილში ისეთი გულამოსკვნილი ტირილი ამოვკიდე... მესიზმრა, რომ კვდებოდა ის, დედაჩემი, მე კი თითქოს ვიჯექი მეორე ოთახში და მესმის მისი მიკმენდილი ხმა:

— შვილო, კოლია ჩემო, სადა ხარ დედა. მოდი დედა, გადამისვი შუბლზე ხელი. ჩემო საკუთარო შვილო კოლია, დედა!

ვდგები ფეხზე, ბორკილებით ხელში და ფეხში მივდივარ დედი ჩემის ოთახისკენ. წინ კი მიდგება ბედუინი, რევოლვერით ხელში.

— სად, სად მიდიხარ... ერთი უყურეთ, დედასთან მიდის.. კორწილში კიდევ ხომ არ ინებებ წაბრძანებას... ადგილიდან არ დაიძრე, თორემ..

კედელს იქით კი ისევ მესმის ნელი ძახილი:

— შვილო კოლია, დედა, ჩემო საკუთარო შვილო, მოდი დაგენაცვლოს დედა შენ, მნახე დედა, ვკვდები მე უბედური, მე ცოდვილი... მოდი ჩემო საკუთარო შვილო..

და უცებ დედა ჩემის მუდარა, ბედუინის ცინიკური ხმა და ჩემი ცრემლები აირიენ ერთმანეთში... მე გამაღვიძეს, მე დამეკითხენ თუ რათ ვტიროდი, მე დამიწყეს მშვიდება... მე კი გავიცინე, თითქოს არ მახსოვდა, თუ რათ ვტიროდი, თან გავიკვირვე ეს—ცრემლები, განა შეიძლება ტირილი? ნამდვილათ კი, მინდოდა ისევ დავწოლილიყავ გულჩაღმა და დიდხანს, დიდხანს მეტირა ცხარე ცრემლებით... ძნელია ეს ძამია, ეჰ, რა ძნელია, რა მძიმეა!..

მე ის ყოველთვის მიყვარდა, ყოველთვის მსურდა მესიამოვნებია მისთვის, ალერსით, კოცნით დამეხუჭა მისი თვალები, ნამდვილათ კი, ყოველივე ჩემი ნაბიჯით მას ვუმოკლებდი სიცოცხლეს, ვაწამებდი, ვტანჯავდი საყვარელ დედას და ეს გძელდება დღესაც, ეს ასე დარჩება ბოლომდის. ძნელია ეს ძამია, ძნელია!

**ხპ. მცირაშვილი.**

(შემდეგი იქნება).

სურათი იყო გარედან მაყურებლისათვის. გაჩქარებული ნაბიჯით ყოველის მხრიდან მოეშურებოდენ ორივე სქესის მოზარდნი, თითქოს დღიური შრომით დაქანცულებს, რამოდენიმე წუთით დასვენება მოეწადინოთ და შიშობდენ ტყუილათ არ დაეკარგათ თვით „დასასვენებელი“ დროც კი. მათ სახეზე ასე გონია ეწერა: „ჩქარა „იქ“... იქ მოიყრიან თავს ყველა მომავლის იმედების მატარებელნი და გაუზიარებენ ერთმანეთს თავის დღიური შრომის ნაყოფს“. მოგროვდენ კიდეც. აგერ კეკლუცათ გამოწყობილი მშვენიერი არსება. ნაზათ მოიკლაკნება და თან აქეთ-იქით ვიღაცას ათვალიერებს, მის მოღრუბლულ შუბლზე მოუთმენლობა გამოიხატება. იგი დარწმუნებულია, ცნობილი ფსიხოლოგიური კანონის ძალით, რომ მთელ იქ მყოფთა ხალხის თვალები მასზედ არიან მიჩერებულნი და ამიტომაც უფრო სცდილობს მოხდენილობას და ხან კაბას მოავლებს ხელს, ხან თმას ისწორებს. მაგრამ უცბათ აგერ ნაბიჯი შეაჩერა. სახე გაუშუქდა, თვალები გაუბრწყინდა. მღელვარებას ცხადათ შეატყობთ. მიზეზი?.. მას გვერდს უმშვენებს ფეხმარდი ყმაწვილი. რამდენი შურით სავსე თვალები მისჩერებიათ მათ და ნატრობენ მსგავს შემთხვევას!.. აგერ, იქ უფრო მყუდრო ადგილებში წყვილ-წყვილათ ჩამწკრივებულნი ქალ-ვაჟნი—ეტყობათ, ერთმანეთს გულის ფიცარს უხდიან და შიგ ახედებენ... აქ ამ მყუდრო ადგილებში იკვანძება ის ნასკვი, რომელსაც სქესობრივ საკითხს ეძახიან და რომელიც დღეს ერთ-ერთ წყეულ საკითხათ გადაქცეულა. აგერ, რამოდენიმე ქალ-ვაჟნი ერთათ შეყრილან, ქალებს რომ შეხედავდი, რაღაც სხვა გამომეტყველება ემჩნევათ გარეგნულათაც და მიხვრა-მოხვრაშიაც თითქოს გამვლელთ აგრძნობინებენ: „ჩვენ უბრალო ქალები არ გეგონოთ. კარგათ დაგვაცქერდითო“. მე იმ ჯგუფს მივუახლოვდი და პირველათვე ქალების თავ-სამკაული (შლიაპები) მომხვდა თვალ-წინ. მართალია, რაღაც სხვა ფორმისების იყვნენ, თუმცა უბრალოთ შემკული, მარა უშველებელი განივრები, უწინდელი ხაბარდა, რომ გამეგონა, ის მომაგონდა. თანაც ასეთი ლაპარაკი მომესმა: „მე დაგიმტკიცებთ, რომ ვეინიგერს ქალთა საკითხში მეცნიერული ჭეშმარიტება კი არ აინტერესებდა, არამედ დაკმაყოფილება შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის. სწორეთ ამიტომაც თავიც მოიკლაო“. მე მაშინვე (თუმცა თმებზე არც კი შემიხედნია) მივხვდი, რომ კურსისტკები უნდა ყოფილიყვნენ უცნაურ შლიაპიანი ქალები და კიდევ ავუარე, მაგრამ უკვე დაწყვილ-წყვილებულიყვნენ და მყუდრო ადგილებისკენ მიეშურებოდენ ბუნების სიმშვენიერით დასატკბობათ. ასე თანდათან დაიყონ ეს ამოდენა ხალხი. ყველას ეპოვა ის, ვისაც ეძებდა და სიამოვნობდენ იმ ბედნიერებით, რომელიც დღეს რუსეთის ინტელიგენციის მომეტებულ ნაწილს თავის დროშაზე უწერია: „პირადი „მე“—ეს არის სამყაროს ალფა და ომეგა, ამიტომ „ისარგებლე შემთხვევით“! მე კი გორკის ერთ-ერთი რაინდის ტერენტიევის ბედი მეწია. მე ისევ მარტო დავრჩი და შეიძლება ამიტომ ფიქრებს მივეცი თავი. მოვიგონე წარსული წლები. ჩვენი ჭაბუკური გატაცებანი. რა მომხიბლველ სილამაზით წარმომიდგა ის ხანა. რამდენათ უფრო მაღლა ვიდექით მაშინ ინტელექტუალურათ და მორალურათ! რამდენათ უფრო კაცი იყო ადამიანი. რამდენათ უფრო ამართლებდა თვის დანიშნულებას მოზარდი თაობა! ამ ფიქრებში რომ ვიყავი, რაღაც მომაგონდა და სრულიად გამომეცვალა გუნება. სიხარული ჩემდა უნებურათ შეიჭრა გულში და თითქმის ავტომატიურათ ფეხი გადამადგმევინა წინ. მე აჩქარებული ნაბიჯით შემოვუარე ბაღს და ძალიან ვაცქერდებოდი იქ მყოფთ. საქმე იმაშია, რომ წარსულ წლებზე ფიქრმა მომაგონა მაშინდელი მეპაირადტრე—მუშა, რომელსაც ერთი კარიკატურულ ჟურნალში ასე უძახდენ: „его величество Пролетаріи Всероссійскій“. აი ახლა სწორეთ ამათ ვათვალიერებდი და რომ ვერა ვხედავდი ბულვარში მესაიდუმლეთათვის გზა დამელოცნა და გულისწყრომით მეთქო. „თქვენი იმედი არც ვისმე აქვს და არც საჭიროა“, რომ ორმა ლურჯ ბლუზიანმა ჩამოიარა და ხმა შემომესმა: „ორიოდე სტაქანი... წითელი... სვირული... (ზოგიერთი სიტყვები ვერ გავარჩიე ესენი ნასწავლები აქ ატარებენ ამ ღამაზებთან დროს, ჩვენ კი იქ წავიდეთ, სადაც ჩვენი ადგილიაო“. მე ეს სიტყვები ელვასავით მეცა, თვალი გავაყოლე მათ და გავყე უკან. „კაცო“ ხუმრობის კილოთი, ჰკითხავდა ერთი მეორეს, რითი აიხსნება, რომ საზოგადოთ კავკასიელები შავგვრემანი ხალხია და ქუთაისის ქალები კი ასე თეთრები არიან, თითქოს სითეთრეში იყოს სილამაზე“. „ეს იმითი აიხსნება ჩემო ელიზბარ, სერიოზული კილოთი მოუგო მეორემ, რომ ადამიანს ყველაზე მეტათ თავის თავის დანახვა უჭირს. აი იმ ქალებს უნდა ლამაზები გამოჩნდენ, ის კი ავიწყდებათ, რომ სილამაზე ბუნებრივობას მოითხოვს“.—ამ სიტყვებში სამკიტნოს კარებიც შეაღეს, საცა სხვა ლურჯ ხალათიანებიც ბლომათ მოჩანდენ... მე ისევ ბულვარს დავუბრუნდი. განცალკევებით ერთი დაბალი ჩასუქებული ჩერქეზულათ გამოწყობილი შუახნის კაცი ერთ სტუდენტს ევაჭრებოდა: „ბატონო ჩემო, ფულით ოთხასი იქნება, ქალიც კარგი, თანაც ნასწავლი, სხვა რაღა გინდა. აი, აქ მოიცადე და მე ამოვატარებ რამოდენიმე ქალს, შენ რომელიც მოგეწონოს, მანიშნე და გაეშურა ქალებისკენ. ცოტა ხნის შემდეგ ამოატარა ერთი ქალი, შემდეგ მეორე, მესამე სტუდენტი უცქეროდა. ბოლოს ისევ მოლაპარაკება განაგრძეს... შემრცხვა იმათ მაგივრათ, ოფლში ვიწურებოდი. განათლებული ქალები—განათლებული კაცი; გრძნობით ვაჭრობა ..! მოვეცალე ამ ადგილს. გავშორდი. თითქმის მივრბოდი. არ ვიცი რათ, ყველაზე მეტათ ის ჩამეჭრა გულში, რომ იმ ყმაწვილს სტუდენტური ქუდი ეხურა. მე, ასე მგონია, ჩემ თავზე ქუდისაც შამეჯავრა, მოვიგლიჯე და ხელით დავიწყე ტარება... შევამჩნიე მოშორებით ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა. მე გულმა მიგრძნო, რომ სწორეთ იქ იყო რასაც ვეძებდი. მიუახლოვდი და შორი ახლოს დავჯექ. აქ სამშობლოს ჭირ-ვარამზე იყო ლაპარაკი. „ხალხის სამსახური უპირველესათ, ბატონებო, ჩვენი ერი უკულტუროა და სხვა. ასე ცნობილ კილოზე გატაცებით ლაპარაკობდა. გულზე ნიშნით ვიცანი, რომ ქველი უნდა ყოფილიყო. — „მუშაობა, შრომაა ხალხისთვის საჭირო“ დაამთავრა მან, მას სხვებიც გამოებაასენ.—რა უფრო საჭიროა დღეს ჩვენი ერისთვის—აი ეს იყო საკამათო საგანი. ყველა ისე ლამაზათ ლაპარაკობდა, მათის ცქერით დავტკბებოდით. მე სრულიად გადამავიწყდა რამოდენიმე წუთით, წინეთ მიღებული შთაბეჭდილებანი: მინდოდა მეც ჩავრეულიყავი, მაგრამ არ ვცანი საჭიროთ. ბრძოლა, შრომა, მუშაობა, ყველას პირზე ეკერა და აბა, მე რაღა უნდა მეთქვა ისეთი საგულისხმო... ამ დროს ქუჩაზე რაღაც ხმაურობა მოისმა. „ჩამოდექით“, გაისმოდა მოუხეშავი ხმა სალდათისა. როგორც გამოირკვა, ტუსაღები მოყავდათ, ალბათ, სასამართლოდან, გული ამიტოკდა, რადგან ციხე წარმომიდგა თვალწინ მთელი თავისი წესებით. მომაგონდნენ ახალგაზრდა, ჯერ ისევ სიცოცხლით და ენერგიით სავსენი—პატიმრები, რომლებიც ოთხკედელშუა აუტანელ პირობებში იმყოფებიან და კიდევ სხვა მრავალი სურათები ციხის ცხოვრებიდან რომლებთა სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია, რომლებთა გასაგებათ და აგრძნობელათ საკუთარის თვალით ნახვა და გამოცდაა საჭირო. ამ დროს მომაგონდა კიდევ იმ ახალგაზდა ვექილის ცხარე სიტყვები და ჩემს გონებაში პატიმართა ცხოვრების სხვა ყველა მხარეები დაიჩრდილა გარდა ერთისა. ეს გახლავთ იურიდიული დახმარების უქონლობა. თქვენ წარმოიდგინეთ, კაცი, რომელმაც თავის რწმენას თავი შესწირა, საზოგადო საქმეს პირადი კეთილდღეობა ანაცვალა, ერთობის გრძნობით გამსჭვალული მოწინაამდეგეს შეებრძოლა, დღეს იგი ფრთებ მოჭრილი, თავისუფლებას მოკლებული მსაჯულთა წინაშე უნდა წარსდგეს და კაცი არ არის, რომ მას დაეხმაროს, მისთვის ხმა ამოიღოს, მოსამართლეთ მისი გულის ნაღები მაინც გადასცეს—იმიტომ, რომ მას ასი და ორასი მანეთები სიზმარშიაც არ უნახავს და ვექილს რითი დაიქირავებდა. ასე უპატრონოთ, ყველასგან მიტოვებულს ამ „ყველას“ სამსახურისთვის—კატორღას უწყვეტენ.

ნუ თუ არ შეეძლოთ ჩვენ იურისტებს, რომ შაედგინათ ცალკე საზოგადოება შეუძლებელთა პროცესების დასაცავათ. მათთან ექნებოდათ კავშირი ტუსაღების ერთ წარმომადგენლს და თვით ტუსაღებისვე ჩვენებით დაეხმარებოდენ უფრო გაჭირვებულებს. რამდენი გადარჩებოდა სასჯელს, რამდენს შეუმცირდებოდა და ესეც რომ არა იყოს, გული მაინც არ გაუტყდებოდა, რომ ფუჭათ არ ჩაიარა მისმა შრომამ, რადგან ახსოვთ, სცნობენ და ეხმარებიან,—მაგრამ სად არის გამგონი, ყველა თავს იმართლებს. ზოგი რეაქციით, ზოგი სამშობლოს სამსახურით, ზოგი კი სხვა მაღალი მატერიებით. ნეტავი აქ რეაქცია რა შუაშია, აქ მხოლოდ ჯიბის ანგარიშია. სამშობლოს სამსახურის მოტრფიალენო! საუკეთესო ქართველებს ციხეში ამოსდით სული და თქვენ კი უფასო იურიდიულ დახმარებასაც არ უწევთ. მუშათა, ოდესღაც მეგობრებო! ჩვენი მუშების საუკეთესო ნაწილს თქვენ დასჭირდით ახლა და თქვენ პირი უქციეთ.—ამ აზრებით ვიყავ მოცული, როცა მომაგონდა ისევ ის იურისტი. მე გადავწყვიტე ამ აზრების იმ ჯგუფში წარმოთქმა, მიველი, მაგრამ იქ აღარავინ იყო—უკვე დაშლილიყვნენ—მეც სახლისკენ გავეშურე...

**მოხული.**

# კორესპონდენცია

**სიღნაღი.** თუმცა სიღნაღი პატარა ქალაქია, მარა აქაც ხდება ისეთი ამბები, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს მოკლებული არ არიან. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ“ სწორეთ სიღნაღზე ზედგამოჭრილია. ჩვენი ქალაქი დღემდის უკონტროლოთ მამების ხელთ იყო, რომლებიც განაგებდენ ქალაქის საქმეებს ისე, როგორც თვითონ მოესურვებოდათ თუ დღემდის ყველაფერი იმალებოდა და ბნელით იყო მოცული, დღეს ეს წყვდიადი ნელ-ნელა ირღვევა. ყველა წარსული ცოდვები და ცოდმხრნელობა აშკარავდება.

1909 წ. 31 იანვარს მოხდა ახალი ხმოსნების არჩევნები, ხალხი ძველების უკმაყოფილონი იყვნენ. (ახლა გამოირკვა, ძველი ხმოსნები არაფერს არ აკეთებდენ 1902 წლიდან. დღემდის მთელი ანგარიშები უკონტროლოთ ყოფილა. თვით ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ დამფასებელმა კომისიამ მიდგომით დააფასა ქონებები 1000 მანეთიანი 300 მანეთათ, 300 მან. 100 მანეთათ. ბევრგან კი 100 მანეთიანი 200-გან და მრავალი ამისთანები). წამოაყენეს ახალი ხმოსნების კანდიდატურა, მიუხედავათ შავი აგიტაციისა მაინც აარჩიეს 16 ხმოსანი სომხები და ქართველები თანასწორათ (სხვა ნაციის ხალხი აქ არ ცხოვრობს). ეს იყო და ეს, რომ ამ შავმა ჯგუფმა უმატა შფოთების გრცელებას. არიქა გიღუპებით ქართველები ბატონდებიან ისინი ქალაქის თავს ქართველს ირჩევენო მთელი დღე ბულვარზედ დგანან და ამაზედ ლაპარაკობენ.

თუმცა მათ შოვინისტურ იდეას ნიადაგი არა აქვს ხალხში, რადგან სიღნაღს ბლომათ ყავს ისეთი სომხობა, რომელნიც დაგმობენ ამ შოვინისტურ აზრს, მაგრამ მაინც არიან ისეთი პირნი და ნამეტნავათ მოვაჭრეები, რომელნიც ემბებიან მათ დაგებულ ხაფანგში, ვერ მიხვედრილან თუ რა აინტერესებთ ამ არა მკითხე ვაჭ-ბატონებს, მართლა ნაციონალური სიყვარული თუ მსუქანი ლუკმა. ჩვენ კი ვიცით, რომ უფრო უკანასკნელი.

17 აგვისტოს მოხდა სიღნაღის კლუბის წევრთა საზოგადო კრება. წევრები არიან სიღნაღის მოხელეები და სხვათა შორის ეს ზემოხსენებული ჯგუფიც. როგორც გამოირკვა, ეს ჯგუფი არც აქ იშლის თავის შოვინისტობას და კლუბი, მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ნაციის წევრთ ეკუთვნით (ინტერნაციონალური) მაინც ესენი გაბატონებულან, რამაც დიდი კონფლიქტი გამოიწვია. წევრები ამტკიცებდენ, რომ ეს კლუბი „ჭეშმარიტ“ სომხებისაათ. ერთმა ჯგუფმა მოითხოვა გადაყენებულ იქნეს კლუბის გამგე ქალაქის თავი ენიკოლოფოვი, მდივანი ამირან ხრისტოფორი და სხვა მაგრამ დიდი დავიდარაბის შემდეგ დაიშალენ. როგორც გამოიდან გამოირკვა, არც ანგარიშები ყოფილა სწორი, რაც წევრთა უკმაყოფილებას იწვევდა.

ასე მოღვაწეობენ აქაური ინტრიგანები და უნდათ ქართველ სომხების გადამტერებით თვითონ ისარგებლონ.

**ბოგანო.**

---

**ს. ავჭალა.** თქვენი გაზეთის, „ჩანგის“ მე-35 ნუმერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია „ავჭალელის“ ფსევდონიმით, სადაც აღნიშნული იყო ჩვენი მამასახლისის თავაშვებული მოქმედება. წაიკითხა თუ არა გაზეთი, მამასახლისმა და მისმა დამქაშებმა ერთი განგაში ასტეხეს და მოინდომეს როგორმე გაეგოთ წერილის ავტორის ვინაობა, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და ვერაფერი გაიგეს. ეჭვი ჩემზედ მოიტანეს და კვირა დილით, რვა საათიდან სადამოს ექვს საათამდე დამაპატიმრეს. საბუთი, რასაკვირველია არ ქონდათ. მადლობელი ვარ სანდრო გუდაშვილისა რომ პური იმან მაჭამა, თორემ სადამომდის მშიერი მოვკვდებოდი. ეხლა მამასახლისი ემუქრება ავჭალელებს გადასახლებით, რადგან წერილის ავტორი ავჭალელს აწერია. თავის ჯამაგირი მეორე ნახევარი წლის გაწერინა და სტრაჟნიკებით საჩქაროთ კრეფავს, მიუხედავათ იმისა, რომ ხმები დადის, მალე დაითხოვენო და ორი თვის ნამსახურში ექვსი თვისას კი აპირობს წაღებას სოფლის ფულებს გარდა. აი კიდევ ერთი საბუთი მისი თავ-აშვებულობისა.

**ლუკა ბერიტაშვილი.**

# მუშათა შორის

გაზ. „ჩვენი საქმის“ № 37-ში მოთავსებული იყო მუშების წერილი ვეტცელის ლუდის ქარხნის მუშების ცხოვრებიდან, რომელიც შეეხებოდა ზოგიერთი მუშების საქციელს და კერძოთ პორფილე კოტრიკაძეს.

რომ მკითხველ საზოგადოებას მოგონილი ჭორი არ ეგონოს ზევით დასახელებულ გაზეთში მოთავსებული წერილი, ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია რამოდენიმე დამატებითი ფაქტების აღნიშვნა, რომელიც უფრო კარგათ დაახასიათებს ბ. პორფილე კოტრიკაძეს. აი საქმე როგორ იყო: ზამთრობით სოლოტის გამოსავალ „პადვლებში“ და ქერის სახმობში, აუცილებლათ საჭიროა. ზედმეტი მუშაობა რისთვისაც „ზავოდი“ ცალკე აძლევს მუშებს ზედ მეტ ქირას იმის და მიხედვით, თუ ვის რამდენი დღე ან საათი ექნება ნამუშევარი—ან რამდენს იღებს დღეში მუშა დღიურ ქირას. რასაკვირველია, უწინ სოლოტის გამოსავალ „პადვლებში“ იწყება მუშაობა, და მერმე ქერის სახმობში. პორფილე კოტრიკაძე და პავლე მარშანია ერთათ იწყებდენ ქერის სახმობში მუშაობას, მაგრამ, ერთ დღეს სოლოტის „პადვალში“ მომუშავე გახთა ავათ და როცა სამაგიეროდ კაცი მომთხოვეს, მეც პავლე მარშანია მივეცი. როდესაც თვე გათავდა მეც ვიანგარიშე თუ ვის რამდენი დღე ქონდა ნამუშევარი და წარუდგინე კანტორას, ვუყურე ორი დღე და მუშებს არ აძლევდენ ზედ მეტ ნამუშევარს, მიზეზი თურმე ის იყო, რომ მიბრძანდა ბ. პორფილე „ზავოდის“ გამგესთან და მოახსენა, რომ მეოვადულერემ მარშანიას 1 ნახ. მეტი დაუწერა და მე კი ნაკლები. დამიბარეს კანტორაში და შემეკითხა „ზავოდის“ გამგე ბ. ვეტცელი თუ რაში იყო საქმე, მე აღელვებულმა ვუთხარი რომ დამისახელე ის კაცი, ვინც გაკეთა ჩემზედ დანოსი და ვინც გამტყუნდება ადგილიდან წავიდეს მეთქი. ჩემ წინადადებაზე დამთანხმდა ბ. ვეტცელი, მაგრამ პორფილემ არ ინება კანტორაში შემოსვლა და პირის პირ დადგომა. ცხადია, თუ რამ წააქეზა ბ-ნ პორფილეს ასეთი საზიზღარი საქმე. ამის შემდეგ პორფილეს საქციელი მე უნდა გამომემჟღავნებია გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ კიდევ თავი შევიკავე. ვფიქრობდი, რომ გასწორდებოდა, მაგრამ ამაოთ. მის საქციელით აღელვებულმა მუშებმა სპირიდონმა პავლემ და ალფესიმ წერილი მოათავსეს გაზეთ „ჩვენ საქმეში“ ამ ინციდენტის შესახებ, სადაც მე მესარჩლებოდენ სრულიათ სამართლიანათ, როცა გაიგო ბ. პორფილემ ეს ამბავი, მომვარდა მე და უშვერი სიტყვებით დამიწყო ლანძღვა. ეგ წერილი ჩემს შესახებ შენი დაწერილიაო მუშტითაც კი დაპირა მოწევა. წერილის ავტორი მუშები ეუბნებოდენ, რომ წერილი ჩვენია, მაგრამ ბ. პორფილე მაინც ვერ დააჯერეს.

რატომ ბ. პორფილე არ მოითხოვს ჩემგან დაუმტკიცო საბუთებით ყველა მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, თუ ის მართლათ გრძნობს თავს?! მექარა ვერაფერი თავის გამართლებაა.

**მელიტონ ბრველაძე.**

---

**„გუტემბერგი“ სტამბა.** „გუტემბერგის“ სტამბა ეკუთვნის პოლკოვნიკ ესაძეს. ეს სტამბა იჯარით [illegible] აქვს სხვებს. სტამბაში მეთაურობა [illegible] ესაძემ დასტოვა თავისი მახლობელი ნათესავე გ. ესაძე. ამის მოვალეობას შეადგენს მხოლოდ [illegible] მაგრამ ეს [illegible] მუშებს, როგორც ნამდვილი „ხაზეინი“. სტამბაში ჰყავთ ერთი მუშა, რომელიც ატრიალებს მანქანას, დილიდან-სადამომდი. ბ-ნი გ. ესაძე დაადგება ხოლმე ამ მუშას თავზე და უძახის „მუტარაო“. საკვირველია, რათ სჭირდება ბ-ნ გ. ესაძეს ამების ჩადენა, ალბათ, იმიტომ, რომ ცდილობს ასიამოვნოს მოიჯარადრეს, მაგრამ ამაებით არ კმაყოფილდება ბ-ნი გ. ე—ძე და უფრო მეტს სისაძაგლეს ჩადის, ე. ი. ენის ტანიობას.

რომ ამა და ამ მუშამ დილით დაიგვიანა, სადამოთი ადრე მიდის, არ მუშაობს და მთელს სამუშაოს დროს ოხუნჯობს ანდაზებსო. მოიჯარადრეს მეტიც აღარა უნდარა და მუშებს ემუქრება დათხოვნით.

**ნიკო.**

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** 15 აგვისტოს ადგილობრივ თეატრის დარბაზში წარმოდგენილ იქმნა ოსიპ დიმოვის „ისმინე ისრაელ!“ და დავ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. მონაწილეობას იღებდენ ქქ. ჯავახიშვილი და ქადარეიშვილი, ბ.ბ. გ. შალიკაშვილი და გვარაძე. დანარჩენი იყვნენ სცენის მოყვარენი. გადამეტებული არ იქნება, რომ ვსთქვათ, რომ ასეთი წარმოდგენა კაი ხანია, რაც ხონის საზოგადოებას არ უნახავს. ეს მერვე წარმოდგენა იყო ამ ზაფხულში და, მართალი უნდა ვსთქვათ, რომ წარსულ შვიდათ დირდა. შეუდარებელნი იყვნენ დრამაში ქ. ჯავახიშვილი და შალიკაშვილი და ნამდვილი დრამატიულის სულის კეთებით ჩაატარა მთელი პიესა ქ. ჯავახიშვილმა (დედის როლში). შალიკაშვილთან ერთათ კი, მთელი დარბაზი ქვითინებდა, როცა ის თავის შვილების ბედს დასტიროდა, ჭეშმარიტათ ნიჭიერი უნდა იყოს არტისტი, რომ გაგრძნობინოს ის, რასაც თვითონ გრძნობს და თავის სულიერ ქარტეხილთან ერთათ შენც გაგიტაცოს, თავისს აღმაფრენას შენი შეუერთოს და ებრაელთან ერთათ (შალიკაშვილი) აღმოგხეთქოს გულის სიღრმიდან არსების შემრყევი შეკითხვა ცისადმი: „რისთვის? რათა?“ არა უშავდა რა ქ-ნ ქადარეიშვილს ნატაშას როლში, მან ბევრ ადგილას სისწორით გადმოგვცა მისი სულის კვეთება. უფერული იყო ბევრ ადგილას ბ. გვარაძე, რაც როლის უხეირობით უნდა ავხსნათ (ეიმანი), ხმას უსუსტებდა და სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. დანარჩენი სცენის მოყვარენიც ანსამბლს ხელს უწყობდენ, განსაკუთრებით კარგი იყო ილია რუხაძე (რებ. ელიაშევი).

კლდიაშვილის მადლიანის ხელით დაწერილმა კომედიამ ბევრი აცინა საზოგადოება. შეუდარებელნი იყვნენ ცოლ-ქმარნი შალიკაშვილები, კარგი იყვნენ აგრეთვე ქ. აგრაფინა ჭავჭავაძე და დადიბერიძე.

მეორე დღეს დაკლებულ ფასებში წარმოადგინეს ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ იმავე ძალების მონაწილეობით. უნდა ვსთქვათ, რომ წარმოდგენამ ვერ ჩაიარა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. შალიკაშვილი ვერ იყო კარგი ონოფრი, როგორც ჩანდა, მისთვის ეს როლი შეუფერებელია. გვარაძე კარგი გლუხცევი იყო. მშვენივრათ შეასრულა თავისი როლი აგრეთვე ქ-ნმა ქადარეიშვილმა (ოლ-ოლი). ჯავახიშვილის ქალი აქაც შეუდარებელი იყო ევდოკია ანტონოვნას როლში. ასე რომ ამ წარმოდგენაში პირველობა მას ეკუთვნის. ხალხი ორთავე წარმოდგენას ბლომათ დაესწრო, წმინდა შემოსავლის ნახევარი ამ წარმოდგენებიდან ცოლ-ქმარ შალიკაშვილებისაა. ნიშნად პატივისცემისა ხონის ინტელიგენციის ნაწილმა შალიკაშვილებს ვახშამი გაუმართეს.

**გ. მა—ლი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. დადიშკელიანი.**

**ვართან ლისიციანის** მონდობილობით ყიდიან დარჩენილ კარგ

## მიწის ნაჭრებს

საბურთალოზე—საგაბაშვილოს დაჩა, კავკასიის სამხედრო გზის ახლოს. ფული მიიღება მხოლოდ ჩვენთან. ადრესი: კერძო საოქციონო ზალა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა. (3—1)